საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე: კახაბერ წერეთელი

კოლეგიის წევრი: ეკატერინე გასიტაშვილი

კოლეგიის წევრი: დავით კაკაბაძე

საჩივრის ავტორი: ა. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.02.2012

საჩივრის რეგისტრაციის # 019/12

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. ბ.-ის მიმართ, სიითი #0108

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. ბ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2012 წლის 06 თებერვალს ა. კ.-მ მომართა სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ დ. ბ.-ისათვის ,,ადვოკატთა

დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, დ. ბ. წინასწარი გამოძიებისა და საქმის საქალაქო სასამართლოში განხილვისას იცავდა ბრალდებულებს, ნ. კ.-ს და ბ. კ.-ს.

1.3 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიასთან საჩივრის ავტორის გასაუბრება შედგა 2012 წლის 16 თებერვალსა და 24 თებერვალს. ა. კ.-მ 2012 წლის 16 და 27 თებერვალს ეთიკის კომისიაში დამატებითი ახსნა-განმარტებები წარმოადგინა. ამ განმარტებიათა მიხედვით, ნ. კ.-ის საქმეზე სასამართლო განხილვის დროს ადვოკატს საჩივრის ავტორმა შემდეგ შუამდგომლობათა დაყენების მოთხოვნით მიმართა: 1. გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფის უბნის რწმუნებულების ლ. გ.-ის და დ. გ.-ის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვა (ადვოკატი ბოლო სასამართლო სხდომამდე ჰპირდებოდა, ა. კ.-ს, რომ მათ დაჰკითხავდნენ, მაგრამ ბოლოს განუცხადა, რომ მათი დაკითხვის უფლება არ ჰქონდა); 2. მარნეულის რაიონში, სოფელ წინწყაროში მცხოვრები მ. გ.-ის დაკითხვა, რომლის ოჯახიდანაც 09 ივნისს ნ. კ. წამოვიდა (ადვოკატმა იცოდა, რომ ბრალდებული ერთი კვირა მ. გ.-სთან იყო და არა რ. გ.-სთან); 3. ნ. კ.-ის 09-10 ივნისის სატელეფონო საუბრების ამოღება (ადვოკატის მიერ ა. კ.-ისათვის გაკეთებული განმარტებით, მათ შუამდგომლობას მაინც არ დააკმაყოფილებდა სასამართლო და მოთხოვნას აზრი არ ჰქონდა); 4. ნიღბისა და იარაღის წარმოდგენა სასამართლო პროცესზე (ადვოკატი ჰპირდებოდა, რომ მოითხოვდა და ამ ნივთებს სასამართლო სხდომაზე აჩვენებდნენ, მაგრამ განაჩენი ისე გამოიტანა სასამართლომ, რომ ადვოკატს ამის შესახებ არაფერი უხსენებია); 5. ფოტორობოტის შედგენის მოთხოვნა; 6. დნმ-ის ანალიზის ჩატარება.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მოცემულ საკითხებზე შუამდგომლობათა დაყენება მათ ნ. კ.-ის უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა მოპოვების საშუალებას მისცემდა, რაც ადვოკატმა არ განახორციელა. ადვოკატი პროცესზე მოქმედებდა მათთან შეუთანხმებლად, რამაც აფიქრებინათ, რომ ის ნ. კ.-ის ინტერესების ნაცვლად, პროკურატურის ინტერესებს იცავდა.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატის მითითება, რომ პოლიციის მუშაკების დაკითხვა მხოლოდ მათი მოთხოვნა იყო და არა ბრალდებულ ნ. კ.-ისა, ცინიზმის ზღვარს სცილდება. ნ. კ. მინდობილი იყო ადვოკატზე, რადგან მისი დამაჯერებელი საუბრის შემყურე, ვერავინ წარმოიდგენდა 19 წლის ახალგაზრდისათვის 33 წლით თავისუფლების აღკვეთის მისჯას, როდესაც საქმე ეხებოდა არა მკვლელობას ან ნარკოტიკულ დანაშაულს, არამედ ყაჩაღობის 3 ეპიზოდს (მათ შორის ერთ არშემდგარ ფაქტს), რომლის დროსაც არავის მიუღია სხეულის დაზიანება.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ნ. კ. კატეგორიულად უარყოფდა რაიმე კავშირის არსებობას მისთვის ბრალად შერაცხულ ყაჩაღობებთან და ადვოკატისგან მისი გამამართლებელი მტკიცებულებების მოძიებას ითხოვდა. ადვოკატი ამის საპასუხოდ მას არჩადენილი დანაშაულის აღიარებას და შესაბამის შეღავათებს ჰპირდებოდა. ამაზე მეტყველებს არამარტო საქმის მასალები, არამედ სასამართლოს სხდომების მიმდინარეობაც. ა. კ.-ის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ პოლიციელთა დაკითხვის შესახებ ოჯახის რჩევა უმნიშვნელო იყო, ადვოკატს უნდა განემარტა, თუ რატომ თქვა უარი მათ შემოთავაზებაზე და არ გამოკითხა მათ მიერ დასახელებული ან ადვოკატის ოფისში უშუალოდ მიყვანილი მოწმეები, რომელთა ჩვენება ნ. კ.-ის ალიბს დაადასტურებდა, ასევე, საჩივრის ავტორისათვის გაუგებარია გამოძიებას და სასამართლოს რა მტკიცებულებები წარუდგინა ადვოკატმა დაცვის პოზიციის გასამყარებლად.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი აცხადებს, რომ მან უარი თქვა ა. კ.-ის მიერ დასახელებული პირების მოწმის სახით დაკითხვის მოთხოვნაზე და თითქოს პროფესიონალიზმის წყალობით გადაურჩა ბრალდებულის სტატუსს. ა. კ.-ის მოსაზრებით, ადვოკატის ,,პროფესიონალური ხელი“ მისი ძმისშვილის და მისი ძმის საქმეს ნამდვილად ატყვია. ადვოკატი ოჯახის წევრთა ყველა კითხვაზე პასუხს გაურბოდა იმ მოტივით, რომ ისინი იურიდიულ საკითხებში გარკვეულნი არ იყვნენ და მან კარგად იცოდა, თუ რას აკეთებდა.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს, რომელიც ასეთი უმძიმესი ბრალდებებით დაპატიმრებულ ადამიანს იცავს, უკვირს, სატელეფონო საუბრების ამონაწერის მოთხოვნა, რაც დანაშაულის ჩადენის დროს, ბრალდებულის სულ სხვა ადგილზე ყოფნას ადასტურებს და ადვოკატის მოსაზრებით, არც უნდა მოითხოვოს ადვოკატმა.

1.9 საჩივრის ავტორის განცხადებით, საქმეში მოწმედ დაკითხულია დ. თ., რომელმაც ნებაყოფლობით განაცხადა სიმართლე, რაც ნ. კ.-ისათვის უტყუარ ალიბს წარმოადგენდა, მოწმე პოლიციამ შეაშინა და ჩვენება შეაცვლევინა, ავდოკატის განმარტებით კი თურმე მოწმის დაშინების ფაქტზე არ არის საჭირო ადვოკატის ჩართვა. ადვოკატს საქმის დატალების მიმართ არანაირი ინტერესი გამოუმჟღავნებია. მან ბრალდებულთა ახლობლების არც ერთი შემოთავაზება არ მიიღო და, თავის მხრივაც, არანაირი შემოთავაზება არ ჰქონია, გარდა დანაშაულის აღიარებისა.

1.10 საჩივრის ავტორის განცხადებით, ბრალდებულის მამა, ბ. კ., რომელიც არის უსინათლო, დააპატიმრეს შვილზე ფსიქოლოგიური ზეწოლის გამო და ბრალად წარუდგინეს მოწმეებზე ზეწოლა. ბ. კ.-ის დაკავების შემდეგაც ადვოკატი ჰპირდებოდა მათ, რომ დანაშაულის აღიარების შემთხვევაში ბრალდებულს დარბაზიდან გაათავისუფლებდა. ადვოკატი ბ. კ.-ის სანახავად საპატიმროში ერთხელაც არ ყოფილა

და სასამართლოსთვის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა არ წარუდგენია. ამის შემდეგ დ. ბ.-მ ,მოაწერინა ხელი აღიარებით ჩვენებაზე, რომ მას საპროცესო შეთანხმებით გამოუშვებდნენ. ამით მამას შვილის წინააღმდეგ პირდაპირი ბრალდება დაადებინა.

1.11 საჩივრის ავტორის განმარტებით, მათთვის დღემდე გაუგებარია რატომ არ დაიცვა ბრალდებულის ინტერესები დ. ბ.-მ და რატომ ითანამშრომლა პროკურატურასთან, რის შედეგადაც ნ. კ.-ს მიუსაჯეს 30 წელი, ხოლო მამას - ბ. კ.-ს, აღიარების მიუხედავად, 2 წელი და 6 თვე. ა. კ. აცხადებს, რომ არც მისი ძმისშვილის და არც მისი ძმის სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება საბუთი, რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც ადვოკატის მიერ არის წარდგენილი.

1.12 განხილვის კოლეგიის სხდომა შედგა 2012 წლის 29 ივნისს, რა დროსაც საჩივრის ავტორმა დაადასტურა მის მიერ საპროცესო ეტაპზე მიცემული ახსნა-განმარტებები.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატის დ. ბ.-ის მიერ ეთიკის კომისიაში 2012 წლის 16 თებერვალს წარმოდგენილი წერილობითი ახსნა-განმარტებით, იგი იცავდა ნ. კ.-ის ინტერესებს, რომლის წინააღმდეგ პირველი ინსტანციის სასამართლომ 2012 წლის 13 იანვარს გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა.

2.2 ადვოკატის განცხადებით, სისხლის სამართლის საქმეში ჩართვისთანავე მოქმედებდა კანონის სრული დაცვით, პირნათლად ასრულებდა ადვოკატის მოვალეობას და არ ეთანხმება საჩივარში მოყვანილ ფაქტებს, კერძოდ: 1. ა. კ.-ის მითითება, რომ დაეკითხათ უბნის რწმუნებული ლ. გ. და დ. გ., იყო მხოლოდ მისი სურვილი და მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს არ გამოუთქვამს მათი დაკითხვის შესახებ ნება, ამასთან, აღნიშნულ პირთა დაკითხვა საქმესთან დაკავშირებით არანაირ შედეგს არ გამოიღებდა (ისინი პოლიციელები არიან).

2.3 ადვოკატის განმარტებით, თითქოს მას უნდა მოეთხოვა მ. გ.-ის დაკითხვა, რომლის ოჯახიდანაც 09 ივნისს წამოვიდა ნ. კ., მაგრამ ამ ალიბის შექმნასთან დაკავშირებით, დაკავებულია ნ. კ.-ის მამა - ბ. კ., რომელიც ადვოკატის შეცდომაში შეყვანას ცდილობდა და არ იყო გულწრფელი მის წინაშე. ადვოკატის განცხადებით, რომ არა მისი დიდი გამოცდილება და პროფესიონალიზმი, შეიძლება ისიც ბრალდებული აღმოჩენილიყო.

2.4 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, თითქოს მას უნდა ამოეღო 09-10 ივნისს ნ. კ.-ის სატელეფონო საუბრები, მაგრამ მისთვის გაურკვეველია, თუ რას

გულისხმობს განმცხადებელი სატელეფონო საუბრებში, რადგან ამ თემაზე მასთან საერთოდ არ ჰქონია საუბარი.

2.5 ადვოკატი არ ეთანხმება საჩივარს, მიაჩნია რა ის დაუსაბუთებლად, ცრუ ბრალდებებზე დამყარებულად და აღნიშნავს, რომ ის მოქმედებდა კლიენტის უფლებების სრული დაცვით.

2.6 ადვოკატი დ. ბ. 2012 წლის 02 მარტს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიასთან გასაუბრებაზე გამოცხადდა და წერილობით უპასუხა ეთიკის კომისიის წევრთა კითხვებს: კერძოდ მან განმარტა, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ორივე ბრალდებულის, ნ. კ.-ისა და მისი მამის ინტერესებს იცავდა.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მისი კლიენტების ინტერესებს შორის არ იყო კონფლიქტი, ვინაიდან მამამ ნებაყოფლობით განაცხადა აღნიშნული მის მიერ მიცემულ ჩვენებაში, აღიარა და მოინანია.

2.8 ადვოკატის განმარტებით, ბ. კ.-ის საქმესთან დაკავშირებით, მასთან შეთანხმებით სადაო არ გამხდარა მტკიცებულებები, ვინაიდან აღიარებდა და ინანიებდა დანაშაულს.

2.9 ადვოკატის განმარტებით, იგი დამატებით წარმოადგენს მოწმეების განცხადებას, რომ ნ. კ.-ის მამამ შეცდომაში შეიყვანა ის "ალიბის" მოწმეები, რომელთა ჩვენებებითაც ა. კ.-ის მოსაზრებით, შესაძლებელი იყო ნ. კ.-ისათვის ალიბის შექმნა და, შესაბამისად, მისი უდანაშაულობის დამტკიცება.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1 2012 წლის 06 მარტს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების განხილვის ეტაპზე დადგენის შემთხვევაში, ადვოკატ დ. ბ.-ის მიერ შეიძლება სავარაუდოდ დარღვეულად მიჩნეულიყო ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ე) ქვეპუნქტი, მე-8 მუხლის პირველი პუნქტი, ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი, მე-6 მუხლის პირველი, მე-4 ნაწილები და მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

3.3 საპროცესო კოლეგიის მოსაზრებით, იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვის წესით გამოკვლევისას დადასტურდება, რომ ადვოკატ დ. ბ.-ის მიერ განხორციელებული

დაცვისას მისი კლიენტების ინტერესებს შორის არსებობდა ინტერესთა კონფლიქტი, ადვოკატი დ. ბ. ვალდებული იყო შეეწყვიტა ყველა კლიენტის ინტერესების დაცვა. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ მას არ გააჩნია უფლებამოსილება ადვოკატის მიერ არჩეული დაცვის სტრატეგია და კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოყენებული დაცვის მეთოდები ან საშუალებები სამართლებრივად არსებითად შეაფასოს, მაგრამ კეთილსინდისიერ და კვალიფიციურ წარმომადგენლობად არ მიიჩნევა, თუ ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე, კლიენტის ინტერესების დაცვისას არ ახორციელებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოქმედებებს. ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა სათანადოდ იყოს კლიენტი წარმოდგენილი; კლიენტმა ადვოკატისთვის მინდობილი საქმის თაობაზე უნდა მიიღოს კვალიფიციური და სრული მომსახურება.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფატობრივი გარემოებები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის განმარტებებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატი დ. ბ. იცავდა ნ. კ.-ის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე ყაჩაღობის ჩადენის ბრალდებაზე, ხოლო ბ. კ.-ის ინტერესებს მოწმის დაყოლიება ცრუ ჩვენების მიცემისთვის ბრალდებაზე, როგორც საქმეთა წინასწარი გამოძიების, ასევე პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისას.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2012 წლის 13 იანვრის განაჩენი საქმეზე #X-XX-12 (ს.ფ. 15-31)
2. 2012 წლის 27 იანვრის განაჩენი საქმეზე #X/X-2012 (ს.ფ. 103-120)

4.1.2 ნ. კ. შერაცხულ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობდა, ხოლო ბ. კ.-მ, რომელიც ბრალდებული იყო ნ. კ.-ის საქმესთან დაკავშირებით მოწმის დაყოლიების ფაქტზე, ცრუ ჩვენების მიცემის მიზნით, შერაცხულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ ცნო. ბ. კ.-ის ქმედება სასამართლოს მიერ შეფასდა დანაშაულის დაფარვის მცდელობად და ნ. კ.-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას სასამართლომ ერთ-ერთ მტკიცებულებად მიიჩნია.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2012 წლის 13 იანვრის განაჩენი საქმეზე #X-XX-12 (ს.ფ. 15-31)
2. 2012 წლის 27 იანვრის განაჩენი საქმეზე #X/X-2012 (ს.ფ. 103–120)

4.1.3 ადვოკატმა ნ. კ.-ის სისხლის სამართლის საქმისწარმოებისას არ დააყენა შუამდგომლობები, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ბ. კ.-ს მარცხენა თვალში დაკარგული ჰქონდა მხედველობა, ხოლო მარჯვენა თვალში მხედველობის მხოლოდ 20% ჰქონდა, ადვოკატს მისი სისხლის სამართლის საქმეზე არ წარუდგენია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2012 წლის 13 იანვრის განაჩენი საქმეზე #X-XX-12 (ს.ფ. 15-31)
2. 2012 წლის 27 იანვრის განაჩენი საქმეზე #X/X-2012 (ს.ფ. 103–120)
3. საჩივრის ავტორის 2012 წლის 27 თებერვლის ახსნა–განმარტება (ს.ფ. 134-137)
4. განხილვის კოლეგიის 2012 წლის 29 ივნისის სხდომის ოქმი (ს.ფ. 3, 1-ლი აბზაცი)

4.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

4.2.1 ადვოკატ დ. ბ.-ს სთხოვდნენ თუ არა ნ. კ.-ის საქმეზე შუამდგომლობების დაყენებას, ხოლო ბ. კ.-ის საქმეზე შემამსუბუქებელი გარემოების მტკიცებულებათა წარდგენას:

ეთიკის კომისიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ დ. ბ.-ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით:

ა) საჩივრის ავტორის პოზიციით, ისინი ითხოვდნენ ადვოკატისაგან, რომ ნ. კ.-ის საქმეზე შემდეგი შუამდგომლობები დაეყენებინა: 1. გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფის უბნის რწმუნებულების ლ. გ.-ის და დ. გ.-ის მოწმის სახით დაკითხვა სასამართღლო სხდომაზე; 2. მარნეულის რაიონში, სოფელ წინწყაროში მცხოვრები მ. გ.-ის დაკითხვა, რომლის ოჯახიდანაც 09 ივნისს ნ. კ. წამოვიდა; 3. ნ. კ.-ის 09-10 ივნისის სატელეფონო საუბრების ამოღება; 4. ნიღბისა და იარაღის წარდგენა სასამართლო სხდომაზე; 5. ფოტორობოტის შედგენის მოთხოვნა; 6. დნმ-ის ანალიზის ჩატარება. ასევე, ითხოვდნენ ბ. კ.-ის საქმეზე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენას.

ბ) ადვოკატის განმარტებით, უბნის რწმუნებულების ლ. გ.-ის და დ. გ.-ს დაკითხვა იყო მხოლოდ ა. კ.-ის სურვილი და მის კლიენტს არ გამოუხატავს მათი დაკითხვის შესახებ ნება, ამასთან, აღნიშნულ პირთა დაკითხვა საქმესთან დაკავშირებით არანაირ შედეგს არ გამოიღებდა, ვინაიდან ისინი პოლიციელები იყვნენ. მ. გ.-ის დაკითხვასთან დაკავშირებით,

რომლის ოჯახიდანაც წამოვიდა 09 ივნისს ნ. კ., ადვოკატი აღნიშნავს, რომ ამ ალიბის შექმნასთან დაკავშირებით დააკავეს სწორედ ნ. კ.-ის მამა - ბ. კ., რომელიც მის შეცდომაში შეყვანასაც ცდილობდა და არ იყო გულწრფელი მის წინაშე. ადვოკატის განმარტებით, მან ნ. კ.-სთან შეათანხმა, თუ რა მიზეზების გამო არ დააყენებდა მოწმეთა დაკითხვის შესახებ შუამდგომლობას. ადვოკატის განცხადებით, რომ არა მისი დიდი გამოცდილება და პროფესიონალიზმი, შეიძლება ისიც ბრალდებული აღმოჩენილიყო. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მისთვის გაურკვეველია, თუ რას გულისხმობს განმცხადებელი 09-10 ივნისს ნ. კ.-ის სატელეფონო საუბრების ამოღებაში, რადგან ამ თემაზე ა. კ.-თან საერთოდ არ ჰქონია საუბარი. ადვოკატის განმარტებით, ბ. კ.-ის საქმის განხილვისას მტკიცებულებები სადაო არ გამხდარა, ვინაიდან ის დანაშაულს აღიარებდა და ეს პოზიცია მასთან შეთანხმებული იყო.

გ) ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორს გააჩნდა მართლზომიერი ინტერესი, რომ ადვოკატს ნ. კ.-ის საქმესთან დაკავშირებით დაეყენებინა ზემოხსენებული შუამდგომლობები, ვინაიდან ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობდა, ასევე ბ. კ.-ის საქმეზე წარედგინა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული წაყენებულ ბრალს აღიარებდა და მტკიცებულებები სადავო არ გამხდარა.

ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საჩივრის ავტორი ადვოკატისაგან ითხოვდა შემდეგი შუამდგომლობები დაყენებას: 1. გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფის უბნის რწმუნებულების ლ. გ.-ის და დ. გ.-ის მიწმის სახით სასამართლო სხდომაზე დაკითხვა; 2. მარნეულის რაიონში, სოფელ წინწყაროში მცხოვრები მ. გ.-ის დაკითხვა, რომლის ოჯახიდანაც 09 ივნისს წამოვიდა ნ. კ.; 3. ნ. კ.-ის 09-10 ივნისის სატელეფონო საუბრების ამოღება; 4. ნიღბისა და იარაღის წარდგენა სასამართლო პროცესზე; 5. ფოტორობოტის შედგენის მოთხოვნა; 6. დნმ-ის ანალიზის ჩატარება. ასევე, ადვოკატისაგან ითხოვდნენ ბ. კ.-ის საქმეზე შემამსუბუქებელი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენას.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის 2012 წლის 27 თებერვლის ახსნა–განმარტება (ს.ფ. 134–137)
2. განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი (ს.ფ. 3, 1-ლი აბზაცი)
3. ნ. კ.-ის 2012 წლის 07 მაისის განცხადება (ს.ფ. 157-158)
4. ბ. კ.-ის 2012 წლის 04 მაისის განცხადება (ს.ფ. 152-155)

6 შემაჯამებელი დასკვნა

საქართველო ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ. ბ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7 სამართლებრივი შეფასება

7.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ დ. ბ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები: ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ე) ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილები: და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი:

7.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ე) ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში კლიენტს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ".

7.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტის ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი."

7.1.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მესამე ნაწილი: ,,მე–6 მუხლის I და II პუნქტებით განსაზღვრული ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში."

7.1.4 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-4 ნაწილი: ,,ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმისწარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წამოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე."

7.1.5 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

7.1.6 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი: ,,ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და მიუკერძოებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა."

7.2 ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს

იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში.

7.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ინტერესთა კონფლიქტის წარმოიშობის საფრთხე არსებობს, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ.

7.4 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს ადვოკატის მიერ ერთი და იგივე სისხლის სამართლის საქმეში რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობის განხორციელება, თუ აღნიშნული კლიენტის ინტერესები ერთმანეთს არ შეესაბამება.

7.5 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 04 თებერვლის გადაწყვეტილებაში /დისციპლინური საქმე #092/10/ ფართოდ განმარტა ,,ერთი და იგივე საქმის“ ცნება და ასეთად მიიჩნია არსობრივად ურთიერთდაკავშირებული საქმეც, ვინაიდან ამ დროს ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას, ასევე წარმოიშობა ობიექტური საფრთხე იმისა, რომ ადვოკატი დაარღვევს ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულებას ან რისკის ქვეშ დადგება მის მიერ კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა.

7.6 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი დ. ბ., სისხლის სამართლის საქმეზე იცავდა ნ. კ.-ის ინტერესებს, ამავე დროს, ადვოკატი წარმოადგენდა ნ. კ.-ის მამას - ბ. კ.-ს, რომელიც ბრალდებული იყო მისი შვილის საქმესთან დაკავშირებით მოწმის დაყოლიების ფაქტზე ცრუ ჩვენების მიცემის მიზნით, რომელმაც შერაცხულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ ცნო (იხ. 2012 წლის 27 იანვრის განაჩენი საქმეზე #X/X-2012).

7.7 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ის სისხლის სამართლის საქმეები, რომელთაც ადვოკატი აწარმოებდა მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად სისხლის სამართლის ორ სხვადასხვა საქმეს წარმოადგენდა, ადვოკატის პროფესიული ეთიკის თვალსაზრისით, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულებისთვის მიიჩნევა არსებითად ურთიერთდაკავშირებულ საქმედ. ნ. კ.-ის სისხლის სამართლის საქმიდან გამოიყო ახალი სისხლის სამართლის საქმე ბ. კ.-ის მიმართ, რომელიც შეეხებოდა ნ. კ.-ის სისხლის სამართლის საქმეზე მოწმეთა დაყოლიებას ცრუ ჩვენების მიცემისათვის, ნ. კ.-ისათვის ალიბის შესაქმნელად, რამაც შექმნა ობიექტური საფრთხე იმისა, რომ ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში, ადვოკატი დაარღვევდა ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულებას, დაკარგავდა ერთ–ერთი კლიენტის ნდობას ან რისკის ქვეშ დადგებოდა მის მიერ ერთ–ერთი კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა.

7.8 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი ერთი პირი - ნ. კ. შერაცხულ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობდა და დაინტერესებული იყო მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოტანილიყო (იხ. 2012 წლის 13 იანვრის განაჩენი #X-XX-12), ხოლო მეორე პირი - ბ. კ., რომელიც ბრალდებული იყო მისი შვილის საქმესთან დაკავშირებით, ცრუ ჩვენების მიცემის მიზნით, მოწმის დაყოლიების ფაქტზე, თავს დამნაშავედ ცნობდა და მის ინტერესს წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებულ სასჯელზე მსუბუქი სასჯელი გამოყენებულიყო მის მიმართ (იხ. 2012 წლის 27 იანვრის განაჩენი საქმეზე #X/X-2012).

7.9 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის შექმნის საფრთხე წარმოიშვა იმ დროიდან, როდესაც ადვოკატის მეორე კლიენტმა, ბ. კ.-მ მისცა აღიარებითი ჩვენება, რაც შემდგომ ნ. კ.-ის მიმართ განაჩენის გამოტანისას ერთ–ერთი მტკიცებულების სახით გამოიყენეს.

7.10 ეთიკის კომისიამ გაითვალისწინა სისხლის სამართლის პროცესისათვის დამახასიათებელი თავისებურებები კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის ბ) ქვეპუნქტის თანახმად, ,,ადვოკატი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმოადგენს.“

7.11 კლიენტის ინტერესების დაცვისას ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხის არსებობისას, ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევისა და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით.

7.12 რამოდენიმე კლიენტის დაცვის შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხის არსებობისას, ადვოკატის მიერ ორივე კლიენტის ინტერესების დაცვის გაგრძელებისას, მის მიერ მიცემული პროფესიული რჩევები და განხორციელებული წარმომადგენლობა განსხვავებულად აისახება კლიენტების ინტერესებზე მათ შორის, თანხვედრის არარსებობის გამო და ადვოკატი ვერ უზრუნველყოფს თითოეული კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას თითოეული კლიენტის მიერ მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაცია და, ამავე დროს, ვალდებულია კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება. ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ორივე ინტერესის (კონფიდენციალობისა და კლიენტის

ინტერესების პრიორიტეტულობა) დაცვა თანაბრად მნიშვნელოვანია და ადვოკატმა თავი უნდა აარიდოს შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს ერთ-ერთი ინტერესი.

7.13 ეთიკის კომისიამ შეაფასა ადვოკატ დ. ბ.-ის გადაწყვეტილება ინტერესთა კონფლიქტის შექმნის საფრთხის შემდეგ, ორივე კლიენტის ინტერესების დაცვის გაგრძელების შესახებ, ასევე გაითვალისწინა ადვოკატის განმარტება, საპროცესო კოლეგიის 06 მარტის გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების გაზიარების შესახებ ინტერესთა კონფლიქტის საფრთხის წარმოშობის შესახებ და, ამის შედეგად, ადვოკატის მიერ გამოხატული მოსაზრება, რომ მას: ,,მამის დაცვაზე უარი უნდა ეთქვა და ერჩია სხვა ადვოკატისთვის მიემართათ". (2012 წლის 29 ივნისის განხილვის სხდომის ოქმი, ს.ფ 163, მე-7 აბზაცი) ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატი დ. ბ. ვალდებული იყო შეეწყვიტა ორივე კლიენტის დაცვის განხორციელება ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხის არსებობის გამო, რადგან ბ. კ.-ის მიერ ბრალის აღიარებამდე, წარმოადგენდა ორივე კლიენტის ინტერესებს და ფლობდა ორივე მათგანისგან მიღებულ ინფორმაციას. შესაბამისად, ორივე კლიენტის ადვოკატად დარჩენა ქმნიდა ერთ–ერთი კლიენტის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევის ობიექტურ საფრთხეს და რისკის ქვეშ აყენებდა ადვოკატის მიერ მეორე კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას.

7.14 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, შესაძლოა ერთ-ერთ კლიენტს წარმოეშვას საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადვოკატი კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალების გამოყენებით არ იცავს მას, როგორც მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს გაუჩნდა და მიიჩნია, რომ ადვოკატმა ბრალდებულ ნ. კ.-ის ინტერესების დაცვის დაწყების შემდეგ, აღარ დაიცვა სათანადოდ ბ. კ., რომელმაც შერაცხულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ ცნო.

7.15 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი დ. ბ. ახორციელებდა ორი ბრალდებულის დაცვას: ერთი, ნ. კ., რომელიც თავს დამნაშავედ არ ცნობდა, არ სურდა საპროცესო შეთანხმების დადება და მის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენდა, ადვოკატს მისი გამამართლებელი მტკიცებულებები მოეპოვებინა და სასამართლოში წარედგინა, შესაბამისი შუამდგომლობების დაყენება; და მეორე, ბ. კ., რომელმაც წაყენებული ბრალდება აღიარა, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა წინასასმართლო სხდომაზე შეთანხმების მიხედვით მტკიცებულებები მის საქმესთან დაკავშირებით სადავო არ გამხდარა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენდა, ადვოკატს წარედგინა მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი მტკიცებულებები.

7.16 ადვოკატი ვალდებულია, დაცვის განხორციელების პროცესში, კლიენტის დავალებით და მისი სახელით, შეასრულოს კლიენტის ინტერესების დასაცავად საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო საპროცესო მოქმედება. ადვოკატი ვალდებულია, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლოში, დააყენოს შუამდგომლობები.

7.17 ეთიკის კომისიას არ გააჩნია უფლებამოსილება ადვოკატის მიერ არჩეული დაცვის სტრატეგია და კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოყენებული დაცვის მეთოდები ან საშუალებები სამართლებრივად არსებითად შეაფასოს, მაგრამ კეთილსინდისიერ და კვალიფიციურ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება, თუ ადვოკატი სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით კლიენტის ინტერესებს სასამართლო სხდომაზე წარმოადგენს და, კლიენტის მოთხოვნის მიუხედავად, არ ახორციელებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოქმედებებს, როგორიცაა შუამდგომლობათა დაყენება, მტკიცებულებათა მოპოვება და სასამართლოში წარდგენა. შესაბამისად, ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის შეაფასოს ადვოკატის სტრატეგია ბ. კ.-ისათვის დანაშაულის აღიარების რჩევისას; ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა სათანადოდ იყოს კლიენტი წარმოდგენილი და ადვოკატისთვის მინდობილი საქმის თაობაზე მიიღოს კვალიფიციური და სრული მომსახურება.

7.18 ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 სექტემბრის, /დისციპლინური საქმე #066/10/ გადაწყვეტილების თანახმად, ,,საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები, და კლიენტის ინტერესების დაცვა,,ადვოკატთა შესახებ"საქართველოს კანონით არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის, მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად წარსადგენად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის."

7.19 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებაში /დისციპლინური საქმე #026/10/ განმარტა, რომ ,,ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, მათ შორის, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ადვოკატის მიერ პროცესზე წარმოთქმული სიტყვა ან მომზადებული დოკუმენტი. თუმცა, კვალიფიციურ და კეთილსინდისიერად განხორციელებულ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება, თუ ადვოკატი საერთოდ არ ცხადდება პროცესზე, ასევე არ ასრულებს კლიენტის მითითებებს, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ამ მითითებების

შეუსრულებლობისა, რაც პირველ რიგში შეიძლება გამოიხატოს კლიენტის სამართლებრივი პოზიციის ზიანში, თუმცა, ამ დროსაც ძირითად გადაწყვეტილებას კერძო ავტონომიის ფარგლებში იღებს კლიენტი ადვოკატისგან მიღებული კვალიფიციური რჩევის შემდეგ.“

7.20 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე 096/11 დაადგინა: ,,სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ადვოკატებმა პროფესიული მოვალეობების შესრულებისას, დაცვის უფლება უნდა განახორციელონ კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით. ადვოკატს ევალება გაახმოვანოს კლიენტის პოზიცია და სათანადოდ დაიცვას მისი ინტერესები, რაც სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედებას გულისხმობს.“

7.21 სსსსკ–ის 44–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ,,იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს. ადვოკატს უფლება არა აქვს, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ.“

7.22 ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატის მსჯელობას ნ. კ.-ის საქმეზე მხარის მიერ მოთხოვნილი გარკვეული სახის შუამდგომლობათა არ დაყენების შესახებ იმ საფუძვლით, რომ ადვოკატის შეფასებით, მათ დაყენებას შედეგი არ ექნებოდა, ვინაიდან ადვოკატი უფლებამოსილია დააყენოს შუამდგომლობა, ხოლო გადაწყვეტილებას უფლებამოსილი პირი მიიღებს. ასევე, ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატის მსჯელობას ბ. კ.-ის საქმეზე მტკიცებულებათა წარუდგენლობის შესახებ, მტკიცებულებათა სადავოდ არ გახდომის საფუძვლით, ვინაიდან ადვოკატისათვის ცნობილი იყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა დ. ბ.-მ ვერ უზრუნველყო ბრალდებულთა ეფექტური დაცვა, ვინაიდან ნ. კ.-ის ინტერესების დაცვის პროცესში მან არ დააყენა არც ერთი შუამდგომლობა, რომელთა დაყენებასაც მხარე მოითხოვდა, რის შედეგადაც კლიენტს შეუზღუდა სხვა ინსტანციებში სამართლებრივი ბრძოლის საშუალება. ბ. კ.-ის დაცვისას ადვოკატის არაეფექტური საადვოკატო მომსახურება გამოიხატა ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი მტკიცებულების წარუდგენლობაში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე.

7.23 ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობისას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს კლიენტის მიერ მისდამი გამოცხადებულ ნდობას.

7.24 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში /დისციპლინური საქმე #015/10/ განმარტა, რომ ,,ნდობის პრინციპი უკავშირდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემულ რჩევასა და განხორციელებულ წარმომადგენლობას. ნდობის პრინციპზე დაფუძნებით, კლიენტს გააჩნია მოლოდინი, რომ ადვოკატი განახორციელებს მისი ინტერესების დაცვასა და მის მიერ ადვოკატისათვის მიწოდებული ინფორმაცია არ იქნება გამოყენებული მისი ინტერესების საზიანოდ.“

7.25 ადვოკატ დ. ბ.-ის მიერ მიცემული პროფესიული რჩევისა და წარმომადგენლობის განხორციელების შედეგად, ნ. და ბ. კ.-ებმა საქმის სააპელაციო წესით წარმოებისათვის სხვა ადვოკატებს მიმართეს, რაც ეთიკის კომისიის შეფასებით განიხილება ადვოკატის მიერ გაწეული წარმომადგენლობის მიმართ ნდობის დაკარგვად.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით; ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ე) ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–6 მუხლის პირველი, მესამე, მეოთხე ნაწილებით, მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით, ამავე კოდექსის მე–3 მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით, მე-19, მე-20, მე–40 მუხლის მე–2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ დ.ბ-ს მიმართ /სიითი #0108/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი მხარეებს გაეგზავნოთ გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის ვადაში.
3. ადვოკატ დ.ბ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. #32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კახაბერ წერეთელი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გასიტაშვილი/

კოლეგიის წევრი: /დავით კაკაბაძე/